ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02/04/18-201

ქ. თბილისი 23 აგვისტო, 2018 წ.

ერთის მხრივ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი წარმომადგენლის, სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის ნინო ინწკირველის და მეორეს მხრივ შპს ,,იუ ჯი თი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის გურამ ხოჯანაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **#SPA180006483** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ'' ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც უწევს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ვიდეოაპარატურის შეკეთების და ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი), დანართ #2-ის (ტექნიკური დავალება) და დანართი #3-ის (ობიექტების ჩამონათვალი)

(CPV-50343000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 30,999.00 (ოცდაათი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 დაფინანსების წყარო: სააგეტნოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები (პროგრამა ,,სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწა, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ხელმისაწვდომობა").

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია შემდეგი ელექტრონული ფოსტის servicedesk@sda.gov.ge მისამართისა და ტელეფონის ნომრის 555-91-88-19 საშუალებით მიწოდებულ შემსყიდველის ინფორმაციაზე დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება;

დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ე) ვიდეოკამერებთან ფიზიკური წვდომის აუცილებლობის შემთხვევაში დაიცვას და დაემორჩილოს სსგს მიერ დადგენილი შესვლის და სამუშაოების ჩატარების წესებს (შესვლის და გასვლის წესები, ასევე აკრძალულია მობილური მოწყობილობების და ვიდეო გადაღების მოწყობილობების გამოყენება).

ვ) დაიცვას და არ გადასცეს მესამე პირებს მომსახურების გაწევისას მიღებული ინფორმაციის შინაარსი.

ზ) ხელშეკრულების დანართი #1-ით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ხარვეზების გამოსწორება;

თ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.3 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის (მიმწოდებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი: helpdesk@ugt.ge; შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართი/საკონტაქტო პირი: servicedesk@sda.gov.ge;) მეშვეობით აწარმოონ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის მენეჯერი ზვიად მელიწკაური და შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ირაკლი სამხარაძე, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი მარინე გვრიტიშვილი.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.3 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი ნებისმიერ დროს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

6.1 მიწოდებულ შესყიდვის ობიექტთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში), შესყიდვის ობიექტის დასახელების, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

6.2 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექეტის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად (ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე), შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

8. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

8.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წელი;

8.2 შესყიდვის ობიექტი მიწოდების ადგილია საქართველო (დანართი #3-ში მითითებული მისამართები) .

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ყოველთვიური, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) შემდეგ 20 (ოცი) დღის განმავლობაში;

9.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

11.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

11.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.7 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

11.8 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

12 დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩთვლით.

15. კონფიდენციალობის დაცვა

15.1 კონფიდენციალური ინფორმაცია რომელიც მიმწოდებლისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების შესრულებისას, არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის გადაცემას ან გამოქვეყნებას შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობის დამრღვევ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. კონფიდენციალურად ითვლება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 271 და 27II მუხლებით გათვალისწინებული პერსონალური და კომერციული ინფორმაცია. კერძოდ, პერსონალური ინფორმაციად მიიჩნევა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით, კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა, ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის.

16 ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17 სხვა პირობები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

18 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. #67ა
სახელმწიფო ხაზინა
BIC კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ 202 307 404

მიმწოდებელი:
შპს ,,იუ ჯი თი''
ქ. თბილისი,
ჭავჭავაძის გამზ. 17ა
სს ,,საქართველოს ბანკი''
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა GE 88BG 0000 0002 6164 4601
ს/კ 204 892 964

სააგენტოს მხარდაჭერის
დეპარტამენტის დირექტორი

ნინო ინწკირველი

შპს ,,იუ ჯი თი''-ს
დირექტორი

გურამ ხოჯანაშვილი

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება_____იუ-ჯი-თი_____

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	მომსახურების გაწევის ვადა	ერთი თვის მომსახურების ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ხელშეკრულების დანართი #2-ში - ,,ობიექტების ჩამონათვალი" მითითებულ ობიექტებზე დამონაჟებულ ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების ტექნიკური მომსახურება	12 თვე	2 583.25	30 999.00

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დღგ-ს).

ტექნიკური დავალება

1.1 მოთხოვნები

ტექნიკური მომსახურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #3-ში - ,,ობიექტების ჩამონათვალი" მითითებულ ობიექტებზე დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემებზე.

1.2 მომსახურების ვადები

- მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

1.3 ტექნიკური მხარდაჭერის განმარტებები

მომწოდებელი უზრუნველყოფს 2 კატეგორიის ტექნიკურ მხარდაჭერას:

- გეგმიური;
- არაგეგმიური;

1.4. გეგმიური მომსახურება

გეგმიური მომსახურება გულისხმობს ვიდეო სათვალთვალო სისტემების მხარდაჭერისა და ტექნიკური მომსახურების სერვისს, სისტემის დათვალიერების, შემოწმების აღდგენისა და სერვისის მიწოდების შეფერხების ან სისტემის მუშა მდგომარეობის გახანგრძლივების მიზნით. მომსახურება ასევე მოიცავს მოიცავს სპეციალისტის ვიზიტს, დანართში ,,ობიექტების ჩამოანთვალი" მითითებულ შენობებში. სისტემის შემოწმების პროცედურა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ერთხელ და დაიწყოს შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებლის მიერ უნდა მომზადდეს ანგარიში გატარებული ღონისძიებების და შემოწმების შედეგების შესახებ, რომელიც 10 დღის ვადაში უნდა იქნეს შემსყიდველისთვის მიწოდებული.

რას უნდა მოიცავდეს პროფილაქტიკური სამუშაოები:

- ზოგადად ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების ფუნქციონირების ხარისხის შემოწმებას:
- ელექტრო კომპონენტების, სადენების და შეერთებების შემოწმებას;
- ვიდეო სამეთვალყურეო კამერების განლაგების და ხედვის მიმართულების შემოწმებას და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებას შემყიდველთან შეთანხმებით;
- ციფრული ჩამწერი მოწყობილობის პარამეტრების შემოწმებას (ჩანაწერის უწყვეტობა, დროს გასწორება);
- გეგმიური სამუშაოების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა უნდა განხორციელდეს სამუშაოები სრულად დასრულებიდან 15 დღის ვადაში. მათ შორის მომწოდებელი ვალდებულია ჩაანაცვლოს დაზიანებული ნაწილები, ანალოგური ან/და არანაკლებ იგივე ტექნიკური მახასიათებლების მქონე საქონლით.

1.5. არაგეგმიური ტექნიკური მომსახურება

არაგეგმიური ტექნიკური მომსახურება გულისხმობს ვიდეო სათვალთვალო სისტემის ფუნქციონირების შეფერხების შემთხვევაში მხარდაჭერისა და ტექნიკური მომსახურების სერვისს, პრობლემების გამოსწორების მიზნით.

- არაგეგმიური ტექნიკური მომსახურება გულისმოხბს ვიდეო სათვალთვალო სისტემის ან მისი კომპონენტების ხარვეზების მიზეზის დადგენას და მათ აღმოფხვრას:
- არაგეგმიური ტექნიკური მომსახურების დროს უნდა განხორციელდეს დაზიანებული ნაწილების სათადარიგო ნაწილებით ჩანაცვლებისა და საჭიროების შემთხვევაში მთლიანი კომპონენტის გამოცვლის გზით, ანალოგური ან/და არანაკლებ იგივე ტექნიკური მახასიათებლების მქონე საქონლით;

არაგეგმიური ტექნიკური მომსახურების პირობები

ვიდეო სათვალთვალოს სისტემის არაგეგმიური ტექნიკური მომსახურების გაწევის ვადები დამოკიდებულია შესაბამის პრიორიტეტზე. პრიორიტეტების მატრიცა წარმოდგენილია ცხრილი N2. ინციდენტის პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება შემსყიდველის მიერ. ინციდენტზე საპასუხო ქმედების და მოგვარებისთვის დადგენილი ვადის ათვლა იწყება ინციდენტის მომწოდებლის მიერ გამოყოფილ ელექტრონულ მისამართზე მიღებიდან. ინციდენტის მიღების/რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მომწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს. მომწოდებელი ასევე ვალდებულია ხარვეზის აღმოფხვრისას შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართიდან - helpdesk@ugt.ge მიაწოდოს ინფორმაცია შემსყიდველს. აღნიშნული ინფორმაციის სააგენტოს საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე (სააგენტოს საკონტაქტო მისამართია servicedesk@sda.gov.ge) მიღების დროსა და ინციდენტის რეგისტრაციის დროს შორის სხვაობით გამოითვლება ინციდენტის მოგვარებისათვის დახარჯული მაქსიმალური დრო.

ცხრილი #1 - მომსახურების გაწევის ვადები

პრიორიტეტი	მოგვარების მაქსიმალური დრო	მხარდაჭერის დრო
პრიორიტეტი 1	ინციდენტის დაფიქსირებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ინციდენტის რეგისტრაციის დღე ჩაითვლება თუ ინციდენტის რეგისტრაცია მოხდა სამუშაო დღის 12 საათამდე.	სამუშაო საათები 09.00-18.00, ორშაბათი - პარასკევი
პრიორიტეტი 2	ინციდენტის დაფიქსირებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ინციდენტის რეგისტრაციის დღე ჩაითვლება თუ ინციდენტის რეგისტრაცია მოხდა სამუშაო დღის 12 საათამდე.	სამუშაო საათები 09.00-18.00, ორშაბათი - პარასკევი

პრიორიტეტი 3	ინციდენტის დაფიქსირებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ინციდენტის რეგისტრაციის დღე ჩაითვლება თუ ინციდენტის რეგისტრაცია მოხდა სამუშაო დღის 12 საათამდე.	სამუშაო საათები 09.00-18.00, ორშაბათი - პარასკევი

ცხრილი N2. პრიორიტეტების მატრიცა

გავლენა	**პრიორიტეტი**
თითოეულ გეოგრაფიულ ობიექტზე განთავსებული ვიდეო სათვალთვალოს სისტემების მწყობრიდან გამოსვლა 80%-დან 100%-ის ჩათვლით.	I პრიორიტეტი
თითოეულ გეოგრაფიულ ობიექტზე განთავსებული ვიდეო სათვალთვალოს სისტემების მწყობრიდან გამოსვლა 50%-დან 80%- მდე.	II პრიორიტეტი
თითოეულ გეოგრაფიულ ობიექტზე განთავსებული ვიდეო სათვალთვალოს სისტემების მწყობრიდან გამოსვლა 50%-მდე.	III პრიორიტეტი

შპს „იუ ჯი თი“-ს დირექტორი **გურამ ხოჯანაშვილი**

დანართი #3

ობიექტების ჩამონათვალი

	ცენტრის დასახელება	მისამართი	NVR/IP camera		
			NVR/SERVER (მოდელი)	IP CAMERA (მოდელი)	კამერების რაოდენობა
1	ორსანტიას საზოგადოებრივი ცენტრი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	DAHUA DH-NVR5416-16p	DAHUA IPC-HFW1200c	4
				DAHUA IPC-HFW1200S	10
2	შილდას საზოგადოებრივი ცენტრი	ყვარლის მუნიციპალიტეტი	DAHUA DH-NVR5416-16p	DAHUA IPC-HFW1200c	5
				DAHUA IPC-HFW1200S	9
3	კაბალის საზოგადოებრივი ცენტრი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	DAHUA DH-NVR5216-16p	DAHUA IPC-HFW1200S	9
				DAHUA IPC-HD1200C	6
4	მარტყოფის საზოგადოებრივი ცენტრი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	DAHUA DH-NVR5216-16p	DAHUA IPC-HFW1200S	9
				DAHUA IPC-HFW1200c	6
5	დიდი ჯიხაიშის საზოგადოებრივი ცენტრი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	xmeye - ST-NVR5016N	xmeye	15
6	სადახლოს საზოგადოებრივი ცენტრი	მარნეულის მუნიციპალიტეტი	DAHUA DH-NVR5216-16p	DAHUA IPC-HD1200C	6
				DAHUA IPC-HD1200s	9
7	დაბა კაზრეთის საზოგადოებრივი ცენტრი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	DAHUA DH-NVR5416-16p	DAHUA IPC-HD1200C	5
				DAHUA IPC-HD1200s	9
8	მეჯვრისხევის საზოგადოებრივი ცენტრი	გორის მუნიციპალიტეტი	NVR Hikvision DS-7616-NI	vivieye IPC 4952 NH	8
				Trassir ActiveCam AC-D2121IR3	2
9	კორბოულის საზოგადოებრივი ცენტრი	საჩხერის მუნიციპალიტეტი	hikvision DS-7716NI-E4	hikvision DS-2CD2010-I	7
				ONVIF	7
10	ხრეითის საზოგადოებრივი ცენტრი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	V-show KD-Z381NH	kdt-hw10rc72-ep	14
11	დორეშა ს საზოგადოებრივი ცენტრი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	DAHUA NVR5808	DAHUA IPC-HD1200C	5
				DAHUA IPC-HD1200s	3
12	დაბა ჩაქვის საზოგადოებრივი ცენტრი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	DAHUA DH-NVR5216	DAHUA IPC-HD1200C	6
				DAHUA IPC-HFW1200S	9
13	ნატანების საზოგადოებრივი ცენტრი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	hikvision DS-7716NI-E4	hikvision DS-2CD2132F-I	6
				ONVIF	7
14	რუისის საზოგადოებრივი ცენტრი	ქარელის მუნიციპალიტეტი	Hikvision DS-9516NI-S 1X2 TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
15	ჭალადიდის საზოგადოებრივი ცენტრი	ხობის მუნიციპალიტეტი	Hikvision DS-9516NI-S 1X2 TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
16	ხევის საზოგადოებრივი ცენტრი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS-9516NI-S; 1X2TB HD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
17	ჯვარის საზოგადოებრივი ცენტრი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS-9516NI-S; 1X2TB HD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
18	კოდას საზოგადოებრივი ცენტრი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS9516NI-S; 1X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
19	მანგლისის საზოგადოებრივი ცენტრი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS9516NI-S; 1X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
20	მორაკანის საზოგადოებრივი ცენტრი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS9516NI-S; 1X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
21	გომის საზოგადოებრივი ცენტრი	ხაშურის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS9516NI-S; 1X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	2
				HIKVISION 2MP DS-2CD7153-E	5
22	სარფიჭალის საზოგადოებრივი ცენტრი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS-9516NI-S 2X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153P-E	2
				HIKVISION 2MP DS-2CD7153-E	5
23	შამიანის საზოგადოებრივი ცენტრი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS-9516NI-S 2X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153P-E	2
				HIKVISION 2MP DS-2CD7153-E	5
24	ნიგოითის საზოგადოებრივი ცენტრი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS9516NI-S; 1X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
25	ფოცას საზოგადოებრივი ცენრტი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS9516NI-S; 1X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
26	ხიდისთავის საზოგადოებრივი ცენტრი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS9516NI-S; 1X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	3
27	თბილისი სანეგდი ცენრი	თბილისი სანაპირის ქ#2	NAS, OVERLAND SNAPSERVER 210	MOBOTIX D24M MONO DOME PBT-GF30 POE	15
28	ქუთაისის სანეგდი ცენტრი	ქუთაისის იუსტიციის სახლი	NAS, OVERLAND SNAPSERVER 210	MOBOTIX D24M MONO DOME PBT-GF30 POE	9
30	გეგუთის საზოგადოებრივი ცენტრი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	NVR Hikvision DS-7616-NI	vivieye IPC 4952 NH	5
				vivieye ipc 8047 NH	2
31	მუხუსტატეს საზოგადოებრივი ცენტრი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS-7716NI-SP	HIKVISION 2CD263 2F-IS ;	9
				HIKVISION DS-2CD2432 F-IS	4
32	კაჭრეთის საზოგადოებრივი ცენრი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS-760NI-ST ; 4X2TB HDD	HIKVISION 2CD263 2F-IS ;	5
				HIKVISION DS-2CD2432 F-IS	2
33	ყვარელწყალის საზოგადოებრივი ცენრი	ახმეტის მუნიციპალიტეტი	NVR Hikvision DS-7616-NI	vivieye IPC 4952 NH	9
				vivieye ipc 8047 NH	4
34	ზათუმის სანეგდი ცენტრი	ზათუმის იუსტიციის სახლი	NAS, OVERLAND SNAPSERVER 210	MOBOTIX D24M MONO DOME PBT-GF30 POE	8
35	ნუკრიანი ს საზოგადოებრივი ცენტრი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS9516NI-S; 1X2TB HDD	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	1
36	წერეთლის იფსისი	თბილისი წერეთლის გამზირი # 67ა	HIKVISION DS-7716NI-E4 14 gb	HIKVISION 2MP DS-2CD8153F-E 2,8MM	5
			HIKVISION DS-7716NI-E4 14 gb	HIKVISION DS-2CD862MF-E	5
37	ღიღო არქივი	დიდი ღიღო, ალიიმა ჯაფარიძის 7	HIKVISION DS-9632NI-RT 14 gb	HIKVISION DS-2CD2432F-I	5
				hikvision DS-2CD2012-I	13
		დიდი ღიღო, ალიიმა ჯაფარიძის 7	HIKVISION DS-9632NI-RT 14 gb	HIKVISION DS-2CD2432F-I	8
				hikvision DS-2CD2012-I	10
38	იორმუღანლოს საზოგადოებრივი ცენტრი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	DAHUA	DAHUA IPC-HFW1220S	9
				DAHUA IPC-HDW1220S	6
39	ტყვიავის საზოგადოებრივი ცენტრი	გორის მუნიციპალიტეტი	DAHUA	DAHUA ipc-hfw1200s	6
				DAHUA IPC-HDW1220S	6
40	ვალეს საზოგადოებრივი ცენტრი	ახალციხის მუნიციპალიტეტი	DAHUA DHI-NVR421	DAHUA IPC-HFW1320S	15
41	ბერძნაულის საზოგადოებრივი ცენტრი	ქარელის მუნიციპალიტეტი	DAHUA DHI-NVR421	DAHUA IPC-HFW1320S	11
42	კიცხის საზოგადოებრივი ცენტრი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	DAHUA	ONVIF	6
43	ბარალეთის საზოგადოებრივი ცენტრი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	DAHUA	DAHUA IPC-HFW1320S	15
44	ლაგვანას საზოგადოებრივი ცენტრი	ცაგერის მუნიციპალიტეტი	DAHUA DH-NVR4416	DAHUA IPC-HFW1320S	5
				DAHUA IPC-HFW1320E	8
45	კუმურდოს საზოგადოებრივი ცენტრი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS-7616NI-E2	hiwach	13
46	წალკის საზოგადოებრივი ცენტრი	წალკის მუნიციპალიტეტი	DAHUA NVR441	DAHUA IPC-HFW1320S	9
				DAHUA IPC-HFW1320E	6
47	არხილოსკალის საზოგადოებრივი ცენტრი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	DAHUA NVR	DAHUA ipc-hfw1200s	9
				DAHUA IPC-HDW1220S	6
48	უსახელოს საზოგადოებრივი ცენტრი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	DAHUA nvr	DAHUA ipc-hfw1200s	7
				DAHUA IPC-HDW1220S	3
49	რუხის საზოგადოებრივი ცენტრი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS-7716NI-E416	HIKVISION 2CD263 2F-IS ;	6
				HIKVISION DS-2CD2432 F-IS	7
50	ღენეტების საზოგადოებრივი ცენტრი	ღენეტების მუნიციპალიტეტი	DAHUA NVR	ONVIF	13
51	კოხნარის საზოგადოებრივი ცენტრი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	Hikvision DS-7716NI	ONVIF	10
				Hikvision	5
52	გლდანის საზოგადოებრივი ცენტრ	თბილისი	Hikvision DS-7608NI	ONVIF	6
				Hikvision	1
53	ბაკურიანის საზოგადოებრივი ცენტრი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	HIKVISION DS-7616NI-E2	Hikvision DS-2CD102-I	4
				Hikvision DS-2CD102-I20	5
54	ზეინდარის საზოგადოებრივი ცენტრი	ვანის მუნიციპალიტეტი	DS-7616NI	ONVIF	5
				ONVIF	9

შპს „იუ ჯი თი"-ს დირექტორი

გურამ ხიჯანაშვილი